ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია
BIOLOGICAL FARMING ASSOCIATION

biofarm@elkana.org.ge
www.elkana.org.ge
საიდენტიფიკაციო კოდი/ID code - 201950898

გაზაფხულის ქ. # 61, 0186
თბილისი, საქართველო
ტელ./ფაქსი: +995 32 253 64 87

61 Gazapkhuli str., 0186
Tbilisi, Georgia
Tel./Fax.: +995 32 253 64 87

თბილისი 22.06.2023

საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის
თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო წილოსანს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს, ბატონ ოთარ შამუგიას

ასლი: საქართველოს მეცნიერებისა და განათლების
მინისტრს, ბატონ გიორგი ამილახვარს

ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში,
პროგრამის მენეჯერს,
პროფესორ, დოქტორ ქეთევან ხუციშვილს

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ოფისს საქართველოში, რეგიონული
წარმომადგენლის მოადგილეს ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, წარმომადგენელს ალბანეთში,
სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში
რაიმუნდ იელეს

ასოციაცია „ელკანას“ წევრთა VII საერთო კრების

მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და აგრარულ სექტორში მომუშავე

საერთაშორისო დონორებისა და ორგანიზაციებისადმი

2023 წლის 22 ივნისს გაიმართა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ წევრთა VII საერთო კრება, რომელსაც, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ესწრებოდა ასოციაციის 135 წევრი საქართველოს ყველა რეგიონიდან.

ასოციაცია „ელკანა“ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1994 წლიდან მუშაობს საქართველოში ბიოწარმოებისა და აგროეკოლოგიის განვითარების, აგრარული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა და ცხოველთა ენდემური და ადგილობრივი გენოფონდის დაცვის საკითხებზე. დღესდღეობით ასოციაცია 458 წევრს აერთიანებს, რომელთა შორის არიან როგორც ინდივიდუალური აგროეკოლოგიური მწარმოებლები, ასევე იურიდიული პირები - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ფერმერთა ასოციაციები, მცირე საწარმოები და სხვ. ამ გზით ასოციაცია „ელკანა“ პირდაპირ ან არაპირდაპირ 2,500-მდე მეურნეს ემსახურება მთელ საქართველოში.

საერთო კრების მონაწილეებმა იმსჯელეს საქართველოს სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით, ბიო და აგროეკოლოგიური მეურნეების, წინაშე მდგარ პრობლემებზე და მიიღეს წინამდებარე **მიმართვა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობისა და აგრარულ სექტორში მომუშავე საერთაშორისო დონორებისა და ორგანიზაციებისადმი:**

ასოციაცია „ელკანას“ წევრთა VII საერთო კრების მონაწილეები

მივიჩნევთ, რომ ბიო/ორგანულ და აგროეკოლოგიურ სოფლის მეურნეობას შეუძლია, აგროსასურსათო სექტორი მნიშვნელოვნად გააჯანსაღოს და მის უფრო სამართლიან და მდგრად სისტემად ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. თანამედროვე მსოფლიო კრიზისები, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება, პანდემია და ომები, აგროეკოლოგიურ სასურსათო სისტემაზე გადასვლის გადაუდებელ საჭიროებას ქმნიან. ამასთანავე, მრავალფეროვანი აგროეკოსისტემებისა და მდიდარი აგრარული ტრადიციების გამო, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების კონკურენტული უპირატესობა მაღალი ხარისხის, ბიო და აგროეკოლოგიური პროდუქტების წარმოებას უკავშირდება.

მივესალმებით საქართველოს მთავრობის მიერ **„ბიოწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამისა“** და **„ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) წარმოების წესებისა და ორგანული (ბიოლოგიური, ეკოლოგიური) პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებას**[1], რაც საქართველოში ბიოწარმოების სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ამასთან, გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ მნიშვნელოვან გამოწვევებს, რომლებიც აფერხებენ ბიოწარმოების განვითარებას საქართველოში:

- ბიოწარმოების ხელშეწყობის არსებული სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ ნაწილობრივ ითვალისწინებს მეურნეთა იმ საჭიროებებს, რომლებიც ბიოწარმოებაზე გადასვლას უკავშირდება: 1. პროგრამა ყველა დარგს თანაბრად არ მოიცავს - სასოფლო-სამეურნეო საშუალებები ფინანსდება მხოლოდ მევენახეობასა და მეფუტკრეობაში; 2. პროგრამა არ ითვალისწინებს ჯგუფური სერტიფიცირების დაფინანსებას; 3. პროგრამით სერტიფიცირების ხარჯები ანაზღაურდება სერტიფიკატის მიღების შემდეგ, მაშინ როდესაც ბიოწარმოების სახელმწიფო ხელშეწყობა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერად არ უნდა განიხილებოდეს, არამედ მისი გარემოსდაცვითი ხასიათის გამო, იმ საზოგადოებრივ და ეკოლოგიურ სიკეთეს უნდა ითვალისწინებდეს, რომელსაც ბიოწარმოებაზე გადასვლა პირველივე წლიდან იძლევა.
- სოფლის მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და კვალიფიციური კადრების მზარდი მიგრაცია სოფლის მეურნეობის განვითარებას აფერხებს, მათ შორის, იწვევს მუშახელის დეფიციტს.
- ბიოსანერგე და სათესლე მასალის, ბიოპესტიციდების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია.
- სურსათის ეროვნული სააგენტოს ყოველწლიურ ანგარიშებში გასაუმჯობესებელია სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში პესტიციდების გამოყენების ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის ასახვა.
- ინფორმაცია ქვეყანაში ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების შემოდინების კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ საჯაროდ არ ქვეყნდება.

[1] *მთავრობის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის შესახებ დამტკიცდა 2023 წლის 11 აპრილს. ძალაში შესვლის თარიღია 2027 წლის 1 იანვარი.*

- საქართველოში პესტიციდების მართვის სისტემა საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას არ შეესაბამება, ამასთანავე, ხშირად ბიოფართობები მეზობელი არაბიო ნაკვეთებიდან ბინძურდება, რამაც შეიძლება მეურნის ბიოსტატუსის შეჩერება ან დაკარგვა გამოიწვიოს.
- ნაკლებად გამოიყენება ცოდნაზე დაფუძნებული პრაქტიკა, რისი გამომწვევი მიზეზიც არის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებს, კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და მეურნეებს შორის მწირი თანამშრომლობა.
- კვალიფიციური, განსაკუთრებით ბიომიმართულების ვეტერინარული და აგრონომიული მომსახურების მიღება უკიდურესად შეზღუდულია.
- ბიო და აგროეკოლოგიური წარმოების საკითხები ასახული არ არის საგანმანათლებლო პროგრამებში.
- გამოწვევად რჩება ბიოპროდუქციის შიდა ბაზრის განვითარება.
- ხშირია სურსათის ნიშანდების წესის დარღვევის შემთხვევები, როდესაც გასაყიდად გამოტანილ ბიოეტიკეტიან პროდუქტს, მათ შორის იმპორტირებულს, შესაბამისი სერტიფიკატი არ აქვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ასოციაცია **„ელკანას" წევრთა VII საერთო კრების დელეგატები მოგმართავთ თხოვნით, პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარების პროგრამების შედგენა-განხორციელებისას, გაითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:**

- ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის კომპონენტი, რომელიც ბიოსაშუალებების დაფინანსებას ეხება, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზეც გავრცელდეს და ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადგილობრივი ბაზრის განვითარების საჭიროებებს, ბიოპესტიციდების ბაზრისა და ბიოსანერგე/ბიოსათესლე მეურნეობების განვითარებას, ასევე ბიომწარმოებლებისთვის, განსაკუთრებით ექსპორტიორებისთვის, შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ლაბორატორიული მომსახურების ხელმისაწვდომობას.
- ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამას დაემატოს ჯგუფური ბიოსერტიფიცირების თანადაფინანსების კომპონენტი.
- ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამას დაემატოს ბიოსასათბურე მეურნეობებისათვის განახლებადი ენერგიების ხელმისაწვდომობის კომპონენტი ან მათ მიერ ენერგომატარებლებზე გაწეული ხარჯების სუბსიდირება გარკვეული კვოტის ფარგლებში მოხდეს.
- ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ბიოსერტიფიცირების ხარჯები ანაზღაურდეს ყოველი სამეურნეო წლის ბოლოს (გარე აუდიტის შედეგის საფუძველზე).
- სასურველია, ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამამ გაითვალისწინოს, რომ უკვე სერტიფიცირებულ ბიომეურნეებსაც გარკვეული პერიოდით ხელშეწყობა ესაჭიროებათ, რადგან თავდაპირველად მათი მოსავლიანობა შედარებით შემცირებულია, ხოლო ბაზარზე თავის დამკვიდრება გარკვეულ დროს მოითხოვს.
- ახალგაზრდების ბიოწარმოებით დაინტერესებისა და მათი სოფლებიდან მიგრაციის შემცირების მიზნით შეიქმნას მათ საჭიროებებზე მორგებული ხელშეწყობის პროგრამები.
- ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და აგრარული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით შემუშავდეს და განხორციელდეს საოჯახო მეურნეობების მხარდაჭერის პროგრამები.
- ბიოთესლეულისა და ნერგების წარმოება შესაბამისი სწავლებითა და ტექნიკური მხარდაჭერით წახალისდეს.
- მავნებლებ-დაავადებათა სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებების დაგეგმვისას პრიორიტეტი ბიოპრეპარატების გამოყენებას მიენიჭოს.
- გაუმჯობესდეს პესტიციდების მართვის სისტემა და დაუახლოვდეს საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას, მათ შორის, გატარდეს ღონისძიებები, რომელთა მეშვეობითაც

შემცირდება ბიოფართობების დაბინძურების რისკი მეზობელი არაბიო ნაკვეთებიდან. ამ მიმართულებით სახელმწიფომ გაითვალისწინოს ევროპის ქვეყნების გამოცდილება, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობები ბიოწარმოების განვითარებას და მათი გარე ფაქტორებით დაბინძურების რისკების შემცირებას ხელს უწყობენ ე. წ. „ბიოტერიტორიების“ (მათ შორის, მეფუტკრეობისათვის) გამოცხადებით.

- სურსათის ეროვნული სააგენტოს ყოველწლიურ ანგარიშებში უფრო სრულყოფილად აისახოს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში პესტიციდების გამოყენების ამსახველი სტატისტიკური ინფორმაცია (შეწამვლის ადმინისტრაციული არეალები, დამუშავებული ჰექტრების რაოდენობა დამუშავებული მიწის სტატუსის მითითებით (სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, არასასოფლო-სამეურნეო და სხვ.) გამოყენებული საშუალებები, გამოყენების ჯერადობა და რაოდენობა).
- გამოქვეყნდეს ინფორმაცია ქვეყანაში ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების შემოდინების კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.
- განხორციელდეს პროგრამები/პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს ცოდნაზე დაფუძნებული პრაქტიკის განვითარებას, მეურნეებსა და ბიოწარმოებაში ჩართულ ორგანიზაციებს, ასევე კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას. სოფლის მეურნეობის მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო მოხელეთა ცნობიერების ასამაღლებლად განხორციელდეს ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც ბიოწარმოების საკითხები განხილული იქნება ცოდნაზე დაფუძნებული პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით.
- შემუშავდეს სისტემა, რომელიც ფერმერებისთვის კვალიფიციური, განსაკუთრებით ბიომიმართულების ვეტერინარული და აგრონომიული, მომსახურების მიღებას გააუმჯობესებს.
- სასკოლო, პროფესიულ და საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იქნეს ბიოწარმოების, აგროეკოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხები. ასევე, იმ სკოლებში, რომლებსაც სამეურნეო ნაკვეთები გააჩნიათ, სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული იქნეს პრაქტიკული გაკვეთილები.
- სახელმწიფომ გაითვალისწინოს მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, სადაც ბიომეურნეებს განსაკუთრებულ დახმარებას უწევენ პროდუქციის გასაღების პროცესში - ფერმერთა ბიობაზრობები (შაბათ-კვირის) ევროპის ქალაქების თითქმის ყველა ცენტრალურ მოედანზე იმართება. თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მერიებმა უზრუნველყონ ბიობაზრობების ჩატარებისათვის შესაბამისი ადგილების გამოყოფა და მათი ტექნიკური აღჭურვა.
- ბიოპროდუქტების ნიშანდების წესის დარღვევის შემთხვევების გამოვლენის მიზნით გამკაცრდეს საბაზრო კონტროლი და კონტროლის ღონისძიებები სურსათის ეროვნული სააგენტოს ყოველწლიურ ანგარიშებში აისახოს.
- სახელმწიფომ გააძლიეროს ხარისხის ნიშნების განვითარებისთვის მხარდაჭერა, როგორებიცაა, მაგ., გეოგრაფიული აღნიშვნები, ბუნებრივი ღვინის ტექნიკური რეგლამენტი და სხვ., რაც დამატებით შესაძლებლობას მისცემს მცირე / ნიშურ მწარმოებლებს აითვისონ ახალი საბაზრო შესაძლებლობები და, ამავე დროს, შეინარჩუნონ საქართველოს აგრარული და კულინარიული მემკვიდრეობა.

ვფიქრობთ, თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, შესაძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე არსებულ პრობლემათა წარმატებით გადაჭრა, სასურსათო, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება და სიღარიბის დაძლევა.

„ელკანას“ VII საერთო კრების მონაწილეების სახელით

ნათია მაჭარაშვილი
გამგეობის თავმჯდომარე

მარიამ ჯორჯაძე
დირექტორი